# აჭარის ტელევიზია და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი

2017 წლის II კვარტლის ანგარიში

ბათუმი

სარჩევი


1. შესავალი
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა
3. კვარტლის მიღწევა
4. კვარტლის გამოწვევა
5. „პროგრამა=პრიორიტეტს“ - შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

   ტელევიზია -  შედეგები და საჭიროებები

   რადიო - შედეგები და საჭიროებები

   ინტერნეტი -  შედეგები და საჭიროებები
6. ხარისხის კონტროლი - მონიტორინგის ანგარიშები
7. იურდიული მხარდაჭერა
8. კვარტლის ტენდერები
9. ადამიანური რესურსების მართვა: სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა
10. „შემდეგი თაობა“- სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა
11. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები
12. #მოუსმინე აუდიტორიას -  საზოგადოებრივი უკუკავშირი
13. ჩვენი სხვა აქტივობები
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისათვის

## 1. შესავალი

გვაქვს პატივი წარმოგიდგინოთ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (შემდგომში „მაუწყებელი“) 2017 წლის აპრილის, მაისის და ივნისის თვის აქტივობების შედეგები - მეორე კვარტალური ანგარიში.

მოგეხსენებათ, მაუწყებელი პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნითაა დაფუძნებული.

ორგანიზაცია საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას.

მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებლის საქმიანობის თავისუფლება, ინტერესის სფერო და ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო აქტებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით და მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ დადგენილი პროგრამული პრიორიტეტებით.

ჩვენ ვმუშაობთ საზოგადოებისთვის, რადგან მაუწყებლის მთავარი ვალდებულებებია[1]:

- ✓ უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება
- ✓ უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის
- ✓ უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ
- ✓ საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები
- ✓ პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი
- ✓ ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი
- ✓ ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი წესით
- ✓ პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება
- ✓ ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები
- ✓ გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი
- ✓ ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- ✓ სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები
- ✓ უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის, პოპულარიზაცია

[1] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი. მუხლი 16

- ✓ უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის მიერ ჩატარებული სამუშაოები დაიგეგმა და სრულდებოდა სწორედ ზემოჩამოთვლილი უფლებამოსილებების ფარგლებში.

ჩვენ სრულად ვაანალიზებთ, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების და ინსტიტუტების დამკვიდრებისთვის კარგად ინფორმირებული საზოგადოებაა საჭირო, საზოგადოება კი ვერ იქნება სათანადოდ ინფორმირებული ხარისხიანი მაუწყებლობის გარეშე.

ამიტომაცაა, რომ მაუწყებელი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად ისე, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად ხელშეუხებელი იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოში.

## 2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებელში თანდათან ვცდილობთ დავნერგოთ საქმიანობის წინასწარი დაგეგმვის სტანდარტი.

პირველი მცდელობისათვის წინასწარი გეგმები გაწერილი იყო შემდეგ აქტივობებზე:

**1. კვარტალის მთავარი ამოცანები:**

✓ მაუწყებლის შენობის საკითხებზე კონსულტაციების გაგრძელება
✓ მაუწყებლის საქმიანობის სტრატეგიის დოკუმენტების დასრულება
- ფილმების სტუდიის გამართვა
✓ სტრუქტურის კორექცია და მასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვალედ ჩატარება
✓ ევროპის საბჭოს მხარდაჭერის ფარგლებში მოწვეული სპეციალისტების ჩართვა და თანამშრომლებთა კვალიფიკაციის ამაღლება
✓ HR სისტემის გამართვა (ტრენინგი 5-6 აპრილი)
- სახელფასო ბადის სამართლიანი გადანაწილება და ახალი მოდელის შექმნა სტაჟის, კვალიფიკაციის და ხარისხის მიხედვით
✓ შიდა და გარე მონიტორინგის ანგარიშებზე დაყრდნობით სამუშაო ფორმატების დახვეწა
✓ დამატებითი შემოსავლების მოძიების სტრატეგიის დაწერა და იურიდიული დეპარტამენტის გაძლიერება - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლებთან ერთად (სამუშაო შეხვედრები 08 აპრილი)
- მაუწყებლის 30 წლის იუბილესათვის მზადება
✓ ბათუმში პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღის აღნიშვნა, მედიაკონფერენციის გამართვა
✓ 2-3 წარმატებული საგრანტო პროექტი
✓ შიდა აუდიტის რეკომენდაციების შესრულება

**2. სამუშაო პირობების შეცვლა:**

✓ რადიოს შიდა ინტერიერის მოწესრიგება - სამღებრო სამუშაოები
✓ რადიოს ადაპტირების დასრულება
✓ ტელევიზიასა და რადიოში შიდა ინტერიერის დახვეწა
- ოფისების გენერალური დასუფთავება
- ტელევიზიის მესამე სართულის გარემონტება
✓ კვების საკითხების გადაწყვეტა/სამზარეულოს მოწყობა
✓ საოფისე ავეჯის განახლება
✓ ტელევიზიის მეორე სართულზე ღია სივრცის მოწყობა
- გარდერობის სივრცის მოწყობა
- სტუმრების მისაღების მოწყობა
- სალონის მოწყობა ორგანიზაციის შიგნით
✓ საჭირო ტექნიკის (სარეცხის მანქანა, უთო) შეძენა სალონისათვის

**3. თანამშრომელთა ჩართულობის და უნარ-ჩვევების გაძლიერების გეგმა:**

✓ ევროპის საბჭოს დახმარებით შიდატრენინგების (სამი მიმართულება) ორგანიზება
✓ თანამშრომელთა შიდა და საზღვარგარეთ სასწავლო პროექტებში ჩართვა
- ახალი ამბების და შემოქმედების გუნდებთან ერთად გასვლითი შეხვედრების - ბრეინშტორმინგის მოწყობა
✓ საეთერო დრესკოდზე ზრუნვა - ახალი სამოსის დამატება
✓ საეთერო დრესკოდზე ზრუნვა - ახალი აქსესუარების შეძენა

**4. სამაუწყებლო საქმიანობის დაგეგმარების შეცვლა:**

- საგამოძიებო ჟურნალისტიკის პროექტის დონორებთან შეთანხმება და ეთერში ჩაშვება
✓ 1-20 აპრილს მიღებული ახალი პროექტების განხილვა და დამტკიცება

**5. შეთავაზება მესამე პირებისათვის:**

- ✓ სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან კომუნიკაცია
- \- წამყვანების/გადაცემების გასვლითი შეხვედრები აჭარის მუნიციპალიტეტებში
- \- საინფორმაციო ლაითბოქსების განთავსება ტელევიზიის და რადიოს შენობებზე
- \- რადიოს კედლების მოხატვა

**6. ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა:**

- ✓ კამერების დასაკომპლექტებელი აქსესუარების შეძენა
- ✓ ეთერის გრაფიკული სადგურის გამართვა
- ✓ ხმის პულტის გამართვა
- \- რადიოს ვიზუალიზაცია
- ✓ კომპიუტერული ტექნიკის მარაგების შეძენა
- \- ტექნიკური განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის დასრულება
- ✓ დაზიანებული ვიდეოკამერების შეკეთება

**7. ფინანსური საკითხები:**

- ✓ 2018 წლის ბიუჯეტირების პროცესის დაწყება
- ✓ სამივლინებო პოლიტიკის გამართვა/ფორმების შემუშავება
- ✓ საშვებულებო პოლიტიკის გამართვა/ფორმების შემუშავება

დასახულ ამოცანათა უმრავლესობა გადაჭრილია. თუმცა აღნიშნული დაგეგმარების შესრულების მაჩვენებლები და ინდიკატორები მოცემულია ანგარიშის მთლიან კონტექსტში.

## 3. კვარტლის მიღწევა

1. პრესის თავისუფლების მსოფლიო დღის აღნიშვნა
2. ვებ პლატფორმის გააქტიურება
3. ეროვნული საფეხბურთო ლიგის შეძენა
4. მემორანდუმი - „ამერიკის ხმა“
5. მემორანდუმი - „არტარეა“
6. მემორანდუმი - „მომავლის თაობა“
7. მემორანდუმი - „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი“
8. ამერიკის საელჩოს დახმარებით სამხრეთ კალიფორნიაში, ნიუიორკსა და ვაშინგტონში მედიალიდერების პროგრამაში მონაწილეობა
9. ანალიტიკური გადაცემების დაგეგმვა
10. ტექნიკური განვითარების სტრატეგიაზე მუშაობა[2]
11. „არტ ექსპერტი“ ხათუნა მანაგაძის გადაცემის აღდგენა
12. ევროპის საბჭოს მხარდაჭერა - შიდა ტრენინგების გაგრძელება
13. კონსულტაციები შენობის თაობაზე
14. ეთნიკურ საკითხებზე საგრანტო პროექტის განხორციელება
15. ახალი საგრანტო პროექტი „აქტიური ამომრჩეველი“
16. მომდევნო წლის ბიუჯეტის შედგენა. პროცესში საკონსულტაციო მიზნით ჩართულია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფინანსისტი.

[2] კომპანია „ინოვატორი“ https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98

## 4. კვარტლის გამოწვევა

მეორე კვარტლის გამოწვევა ტექნიკური პრობლემების გადაჭრა, სახელფასო/საკადრო პოლიტიკა, ბადის ეფექტურად დაგეგმვა / სწორი მართვა და ახალი იდეების განხილვის პროცესი იყო.

**ტექნიკური საკითხების თაობაზე თადარიგის დაჭერა**

MPEG4 სტანდარტზე გადასვლის გამო, რაც გულისხმობს გავრცელების სტანდარტის ცვლილებას აზერკოსმოსის მომსახურეობაში. მნიშვნელოვანი ხელშეშლები არ იყო მოსალოდნელი, თუმცა ხარვეზი დაფიქსირდა. გარდა იმისა, რომ გასულ კვარტალში მაუწყებელი ორი დღის განმავლობაში არ ჩანდა საძიებო სისტემაში, გათიშული იყო სიგნალი ვებპორტალზე WWW.MYVIDEO.GE ხარვეზების შემცირებისათვის დამატებითი შენაძენები და აქტივობები განხორციელდა, მათ შორის, მომზადდა რგოლი და სხვა მასალები[3] ახალი პარამეტრების გაცნობისათვის, თუმცა უკეთესი თადარიგის შემთხვევაში, შესაძლებელია ინფორმირებულობით მაინც მომხდარიყო უარყოფითი შედეგის შეცვლა. საგულისხმოა, რომ მაუწყებლისათვის პრიორიტეტულია საკაბელო ქსელებში გავრცელების ხარისხი. მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა (წერილობითი მიმოწერა, ტექნიკური ჯგუფის მუშაობა), დღეისათვის საკმარისად არ არის შეცვლილი მდგომარეობა. თუმცა აღსანიშნავია, რომ

აღნიშნულ ხარვეზებს დაემატა ისიც, რომ მაუწყებლობა არ არის ხელმისაწვდომი თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის.

2017 წლის 19 ივნისს 18:00 საათზე გადაცემა „მთავარი" დაიჯესტის სახით გავიდა, რადგან მოხდა კონდიცირების სისტემის არასწორი მონტაჟი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოკვლევა.

**საკადრო პოლიტიკა**

სახელფასო ბადის სამართლიანი გადანაწილება ერთ-ერთი საკვანძო თემაა. დღეისათვის მაუწყებელში სახელფასო გადანაწილება არასამართლიანია. დაუსაბუთებელია საშტატო ნუსხის შემადგენლობა, არ არის გაწერილი და ზუსტად გაანგარიშებული თითოეული ადამიანის მონაწილეობის მნიშვნელობა და შექმნილი სარგებლის საფასური. ყოველდღიურ ეთერზე პასუხისმგებელ პირთა ანაზღაურებები მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვა ადმინისტრაციული ფუნქციებით დატვირთული ადამიანების ხელფასისაგან.

საკითხის მოგვარება მიბმულია ახალი სტრუქტურისა და სტრატეგიის დოკუმენტის მიღებასთან. ამ დროისათვის საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფინანსისტის კონსულტაციების დახმარებით კიდევ უფრო გამოიკვეთა გადაცემაზე მომუშავე გუნდის შესაძლო ანაზღაურების მარჟა.

[3] https://www.facebook.com/AjaraTV/photos/a.273380486071518.65295.128194083923493/1290972810978942/?type=1&theater

## 5. „პროგრამა=პრიორიტეტს“ - შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაიწყო გადაცემების შეფასება/კალკულაცია და იდეების შიდაკონკურსი, რაც მაუწყებელს გადაცემების განახლებისა და ახლებური დაგეგმვის ერთადერთი შესაძლებლობაა.

შედგა შეხვედრები გადაცემების გუნდებთან, თუმცა არსებული გადაცემების დაგეგმვა, პროექტების დამტკიცების აქამდე არსებული პოლიტიკა არ იძლევა შესაძლებლობას ზუსტად შემუშავდეს მიდგომა/შეფასების სისტემა „პროგრამა=პრიორიტეტს“. ამიტომ პრიორიტეტებისა და კანონმდებლობის შესრულების მაჩვენებელზე მთავარი აქცენტი საეთერო ბადის შემდგომი განახლებისას გაკეთდება.

საეთერო ბადის სრული განახლება კი იგეგმება სატელევიზიო რეიტინგების მთვლელი ორივე კომპანიის დასკვნების და რეკომენდაციების მიღების შემდეგ.

ამ ეტაპზე ერთ-ერთ მთავარი გამოწვევად რჩება გარეწარმოების კოეფიციენტის შეთანხმება და შესრულება.

**#ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები**

საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების და შემოქმედების გუნდები ქმნიდნენ კონტენტს, რომელიც შეესაბამებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნებსა და საჭიროებებს. [4]

კვარტლის მთავარი სიახლე იყო მაუწყებელში ანალიტიკური მიმართულების გუნდის შექმნა და ორი ძირითადი პროდუქტის შექმნაზე მუშაობა.

მომდევნო კვარტალიდან მთავარი საინფორმაციო ამბების ფორმატში „მთავარი აჭარაში“ და „კვირის მთავარი“ მაყურებლებისთვის კიდევ ერთი ახალი შეთავაზება იქნება.

ორივე გადაცემის ფორმატი მთავარი საინფორმაციო ხაზია, რომელშიც ანალიტიკური და სიღრმისეული გაშუქების სტანდარტით დამუშავდება მნიშვნელოვანი თემები.

გადაცემების მომზადების პროცესში ჩართული იყო ევროპის საბჭოს დაფინანსებით მოწვეული ექსპერტი. ანალიტიკურმა გუნდმა მიიღო რეკომენდაციები როგორც სოციალური თემატიკის მოკვლევისა და ანალიზის, ისე ანონსირების და პრომოუშენის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მოვლენების მულტიმედიურ გაშუქებას და მომხმარებელს, გარდა იმისა, რომ შეუძლია ინფორმაცია მიიღოს ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით, უკვე შეეძლებათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ ონლაინ არხის მეშვეობით. ახალი ამბების სამსახურისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის ოპერატიული გავრცელება, ასევე უფრო მაღალი პრიორიტეტით სარგებლობს მოპოვებული ინფორმაციის სანდოობა და ობიექტურობა.

ახალი ამბების სამსახური ამ გადაწყვეტილებით კიდევ უფრო უზრუნველყოფს, საზოგადოების ობიექტურ ინფორმირებას არამარტო რეგიონის, არამედ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ამბებით.

ვებ პლატფორმა თანდათან ხდება ინფორმაციის გავრცელების სანდო წყარო. უზრუნველყოფილია მასალების გავრცელება არამხოლოს ტექსტის და სიუჟეტის მეშვეობით, არამედ მზადდება სპეციალური ვიდეოები საკვანძო საკითხზე. ვებ რედაქტორები ქმნიან განსხვავებულ კონტენტს ვებპლატფორმის მომხმარებლებისთვის.

[4] კვარტალის გადაცემები https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPRDJnRVNvWGU0czQ/view
სპორტი https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPWDdaR096TEJFaHM/view
იმპულსი https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPeExiVUw1N1lmaWs/view

**#რადიო - შედეგები და საჭიროებები**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ძირითადი ყურადღება დაეთმო რადიოს ახალი სეზონის დაწყების საკითხს.

სექტემბრის თვეში საეთერო ბადის სრული განახლება იგეგმება. ამ პერიოდის განმავლობაში გვქონდა შესაძლებლობა კონსულტაციები გაგვევლო „რადიო თავისუფლების" წარმომადგენელთან და გაგვეზიარებინა რადის ეთერის მართვისა და სამუშაოების გადანაწილების სტანდარტები.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო განახლებული ეთერისთვის მზადების პროცესი. კერძოდ: „პროგრამა=პრიორიტეტს" პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ახალი გადაცემების საეთერო ბადეში ჩაშვების ეტაპები.

მიმდინარეობს მუშაობა რადიოს ეთერის შეფუთვაზე: მზადდება არტები, ტიხრები და პრომოები.

მნიშვნელოვანია, რომ განვითარების ჯგუფმა საეთერო ბადე დაყო 4 სეგმენტად: დილა, შუა დღე, საღამო და ღამის ეთერი, რომელშიც პროგრამული პრიორიტეტების მიხედვით ჩაეშვება ახალი გადაცემები.

სტაჟირების პროგრამით მაუწყებლის რადიოში 6 თვიანი სტაჟირების კურსს გადის 2 სტაჟორი.

მეორე კვარტლის განმავლობაში რადიოს საეთერო ბადე და პრიორიტეტების შესრულების მაჩვენებელი მაუწყებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამუშაო იყო. დღეისათვის რადიო მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს საკანონმდებლო მოთხოვნებს[5], თუმცა არსებული დაგეგმარება სუსტია. არსებულის დაძლევის გზად განახლება მიიჩნევა. სწორედ ეს სამუშაოები დაედება საფუძვლად შემდგომ განახლებებს.

საანგარიშო პერიოდში მთავარი აქცენტი გაკეთდა რადიოს ბადის განახლებაზე

1. სამუშაოები ჩატარდა „რადიო თავისუფლების" წარმომადგენელთან ერთად
2. შედგა შეხვედრები ახალი იდეების კონკურსის ფარგლებში
3. გაგრძელდა სამუშაოები რადიოს ვიზუალიზაციის პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს რადიოს საეთერო სტუდიაში ვიდეო კამერების დამონტაჟებას და რადიოს საიტზე ეთერის ტრანსლირებას, რაც იმთავითვე გულისხმობს არხზე კიდევ ერთი, ახალი სამაუწყებლო პლატფორმად ჩამოყალიბებას.
4. მაუწყებლის პრომოუშენის და ბრენდირების სამსახურთან ერთად დაიგეგმა რადიოს პრომოუშენის ღონისძიებები ,რომლებიც წლის განმავლობაში ეტაპობრივად განხორციელდება. კერძოდ:

- ✓ რადიოს შენობის ფასადის მოწესრიგება/მოხატვა (აქტივობა გახდება ჩვენი ერთ-ერთი საგრანტო პროექტის ნაწილი)
- ✓ პრომო-ბოქსების განთავსება
- ✓ შენობის შიდა კორექციული სამუშაოების ჩატარება
- ✓ რადიოს პრომოუშენისთვის სატელევიზიო არტების და ანონსები დამზადება/ეთერში ჩაშვება
- ✓ რადიოს შენობის ადაპტირება

სამუშაოების უმრავლესი ნაწილი დასრულდება მესამე კვარტლის განმავლობაში.

მიმდინარეობს რადიოს შენობის ადაპტირების და შიდა ინტერიერის მოწესრიგების პროცესი.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი გახდა აჭარის რადიოს ვებ გვერდი www.radioajara.ge დავიწყეთ ინფორმაციის განახლება/განთავსება. საგულისხმოა, რომ ვები გასული წლის ნოემბრიდან აღარ ფუნქციონირებდა აქტიურად. დღეისათვის ვებგვერდზე ინფორმაციის ინფორმაციის განახლება რეალურ დროში მიმდინარეობს.

[5] რადიოს გადაცემების მაჩვენებლები https://www.google.com/url?hl=en-GB&q=https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPSWtiUmlZVEdha00/view?usp%3Ddrive_web&source=gmail&ust=1491913570354000&usg=AFQjCNHl_-wZPm2mUk0bjT2N56vba8kWWw

რადიოს ვიზუალიზაციის საკითხის გამართვის შემდეგ მაუწყებლის პროექტები მულტიმედია ფორმატში გადავა. მათ შორის, მოხდება რადიოს დილის გადაცემის და ღამის მუსიკალური ეთერის სატელევიზიო ფორმატში ინტეგრირება.

**#ინტერნეტი- შედეგები და საჭიროებები**

რადგან მედიის მომავალი არის ინტერნეტი, მაუწყებლის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია გამართოს ვებპლატფორმა და მოხდეს მაუწყებლის სწორი და მყარი პოზიციონირება სოციალურ ქსელებში.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ვებ გვერდი, ძირითადად, ფუნქციონირებდა ტელევიზიის მიერ შექმნილი კონტენტით და რადიოს მსგავსად, სრულად და იდენტურად ხდებოდა იმ მასალების ვებ გვერდზე განთავსება.

ბუნებრივია, რომ ამ მოცემულობაში 2017 წლის მარტამდე საიტის მნახველთა რაოდენობა არ აღემატებოდა 35 ათას ადამიანს. ყოველდღიურად კი გვერდზე საშუალოდ 1000-დან 1500-მდე ადამიანი შემოდიოდა. ანალოგიური სიტუაცია იყო მაუწყებლის ოფიციალურ ფბ გვერდზე, რომელიც ძირითადი წყაროა, საიტზე ადამიანების შემოსვლისათვის.

გვერდის ლაიქერთა რაოდენობა, წლების განმავლობაში 22 ათასი იყო, თუმცა 2017 წლის მარტიდან ინტერესმა მოიმატა.

რამგანაპირობა საიტზე მნახველთა ფბ ლაიქერთა რაოდენობის მატება:

11-12 მარტის მოვლენების დროს - საიტზე დამოუკიდებლად დაიწყო ახალი ამბების განთავსება. იყო მცდელობა, საიტი გამხდარიყო აჭარიდან ინფორმაციის მიწოდების პირველწყარო და მაუწყებელს ახალი პლატფორმა გამოეყენებინა საზოგადოების ინფორმირებისთვის. ამ ნაბიჯმა მნიშვნელოვნად გააქტიურა ინტერნეტ მომხმარებლები. ამ პერიოდში ფბ ლაიქერების რაოდენობა 2000 გაიზარდა და მარტის ბოლოსთვის 28 ათასს მიაღწია, თუმცა, ეს მიმართულება მალევე შეჩერდა, შენელდა მარტის თვის შემდეგ აქტივობაც და მნახველთა რაოდენობაც. აპრილიდან, საიტზე თავიდან დაიწო დამოუკიდებლად ინფორმაციის განთავსება და სხვადასხვა ტიპის აქტივობები, რამაც განაახლა და სტაბილურად მზარდი გახადა მომხმარებელთა რაოდენობა.

მაგალითისთვის, მარტის თვეში საიტზე 35 ათასი უნიკალური მნახველი იყო შემოსული (რაც ნიშნავს, ერთი კომპიდან ან ერთი ტექნიკური საშუალებიდან შემოსულ მომხმარებელს), თუმცა აპრილიდან საიტზე ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა და რეგისტრაციიდან ყოველდღიურად უნიკალური მომხმარებლების ჯამური რაოდენობა: 619,841 გაიზარდა.

საშულოდ საიტზე ყოველდღიურ შემოსვლელთა რაოდენობა კი 4000-დან 5000 ათას მომხმარებლამდეა.

ყველა ეს მომხმარებელი, ძირითადად, საიტზე ფბ გვერდით გადმოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ ფბ მზარდია ლაიქერების რაოდენობა და, საშუალოდ, ყოველკვირეულად, მაუწყებლის ოფიციალურ გვერდს ალაიკებს 500 მომხმარებელი.




დღეის მონაცემებით 34 ათასი ლაიქერი ჰყავს მაუწყებლის ფბ გვერდს. გაიზარდა კომენტარების, გამოხმაურებების, დისკუსიებისა და ინფორმაციის გაზიარებების რაოდენობა.

საიტზე ტექნიკური გაუმართავობის, ადამიანური რესურსების ნაკლებობისა და შესაბამისი სტრუქტურის არ არსებობის მუხედავად, ინტერნეტ პლატფორმის ეფექტური მუშაობის შედეგად არსებული დივიდენდები თვლადია. მომდევნო კვარტალის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად კი ვებ გვერდზე მომუშავე გუნდის სრული დაკომპლექტება და სამუშაო გარემოთი უზრუნველყოფაა.

**კვარტლის წარმატებული საგრანტო პროექტები**

1. საანგარიშო პერიოდში ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ დაფინანსდა საგრანტო პროექტი, რომელიც გულისხმობს გადაცემა „ჰეშთეგში“ 8 ეთნიკური ჯგუფის შესახებ სიუჟეტების მომზადებას და სტუმრების ჩართვას. პროექტის ძირითადი ნაწილი უკვე შესრულებულია.
2. ევროპის საბჭომ დააფინანსა მაუწყებლის თანამშრომლების უნარ-ჩვევების და გადამზადების პროგრამა, რაც მომდევნო კვარტალის განმავლობაში ტრენერების მოწვევის ფინანსურ მხარდაჭერას უკავშირდება.
3. ევროკავშირმა მხარი დაუჭირა გადაცემა „ჰეშთეგში“ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ასამაღლებელი ტიხრების/არტების მომზადებას. პროექტი 20 თვიანია და დოკუმენტების მოწესრიგების პროცესი უახლოეს პერიოდში დაიწყება.
4. ინტერნიუს-საქართველოსთან ერთად შემუშავდა პროექტი, რომელიც საარჩევნო საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებულობას შეეხება. პროექტი აგვისტოსა და სექტემბერში განხორციელდება.

## 6. ხარისხის კონტროლი - მონიტორინგის ანგარიშები

დაინტერესებული პირებისათვის კვლავაც ხელმისაწვდომია საინფორმაციო ვიდეორგოლი, სადაც თვითრეგულირების ფარგლებში საჩივრის შემოტანის შესაძლებლობაზეა მითითება.[6]

ჩვენი მოვალეობაა ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება, ფაქტისა და აზრის მკაფიო გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება.

დაინტერესებულ პირებს ხარვეზის დაფიქსირებიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვთ მოგვმართოთ განცხადებით და მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა მოითხოვონ.

მაყურებელი, რომელიც შეამჩნევს, რომ ჩვენ საქმიანობაში ხარვეზებია, შეუძლია მოგვმართოს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის tvitregulireba@ajaratv.ge მეშვეობით. ეს ფორმატი ხაზს უსვამს მაუწყებლის სრულ პასუხისმგებლობას და მზაობას განიხილოს დამფინანსებელთა მოსაზრებები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თვითრეგულირების ფარგლებში საჩივარი შემოსული არ ყოფილა.

## 7. იურდიული მხარდაჭერა

იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის მონაწილეობა პროცესებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იურიდიული სამსახურის ამოცანები იყო შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილი ხარვეზების შევსება:

- ✓ დამტკიცდა თანამშრომელთა მიღების წესი
- ✓ დამტკიცდა შენობაში გადაადგილების წესი
- ✓ დამტკიცდა სოციალური რეკლამის განთავსების წესი

[6] თვითრეგულირების შესახებ ვიდეორგოლი https://www.facebook.com/AjaraTV/videos/1284456444963912/

## 8. კვარტლის ტენდერები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა 113 შესყიდვა. მათ შორის:

- გამარტივებული შესყიდვა - 90
- გამარტივებული ელექტრონული ტენდერი - 23

არ შედგა 6 გამარტივებული ტენდერი და უარყოფითი შედეგით დასრულდა 1 გამარტივებული ტენდერი.

## 9. ადამიანური რესურსების მართვა: სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა

**მადლობის გადახდა -** საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული წარმატებით მუშაობდა მაუწყებლის ვების მიმართულება და ასევე განსაკუთრებული პასუხისმგებლობებით შეასრულეს დაკისრებული ფუნქციები მიმდინარე მაუწყებლობის თანამშრომლებმა. შესაბამისად, თანამშორმლებს გამოეცხადათ მადლობა პირად საქმეში შეტანით.

**ამერიკის საელჩოს მხარდაჭერა -** საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მედიალიდერების პროგრამის მონაწილე. გვქონდა შესაძლებლობა თეორიული ცოდნა მიგვეღო (დირექტორი, გაყიდვებისა და დონორების სპეციალისტი) სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში, ასევე გავცნობოდით მედიის მუშაობის მეთოდებს ვაშინგტონში და ნიუ იორკში.

**მაუწყებლის კონკურსები**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელმა საგრანტო პროექტის ფარგლებში გამოაცხადა ოპერატორის ვაკანტურ თანამდებობაზე  კონკურსი გამოაცხადა. შერჩეული პირი ჩაერთო გადაცემა „ჰეშთეგის“ მომზადების პროცესში. საანგარიშ პერიოდში ასევე

**ტრენინგი ადამიანური რესურსების მართვაში** - საანგარიშო პერიოდში ადამიანური რესურსების მართვის  გუნდთან ერთად მუშაობდა მოწვეული ექსპერტი.

**მეტყველების გაკვეთილები**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სავალდებულო იყო მეტყველების გაკვეთილები. ამავე დროს ჩატარდა აქტივობები მედიასკოლის მექანიზმის გამართვისთვის. სტაჟირების პროგრამის მონაწილეებს და ახალ თანამშრომლებს ჰქონდათ შესაძლებლობა დასწრებოდნენ გაკვეთილებს/სპეციალურ კურსს.

**შრომის უსაფრთხოების საკითხები**

თანამშრომელთა სამუშაო პირობების შექმნა მაუწყებლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულებაა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინსპექტირების ანგარიშის თანახმად[7], ამ პასუხისმგებლობის თავის გართმევისათვის მაუწყებელს მნიშვნელოვანი თადარიგის დაჭერა მოუწევს, მათ შორის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გამართული ინფრასტრუქტურა.

[7] ინსპექტირების ანგარიში file:///C:/Users/1/Downloads/%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

არსებული რეალობის შეცვლის მიზნით გადაიდგა რამოდენიმე ნაბიჯი. მათ შორის მოხდა შენობის მოწესრიგება, ამასთანავე მზადდება შენობის მესამე სართულის შეკეთების სრული ხარჯთაღრიცხვა (სავარაუდო ხარჯების ოდენობამ მიაღწია 250 000 ლარს) ეს ნაბიჯი იქნება გამოსავალი როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დასაცავად (რადგან სახურავიდან ჩამოსული წყალი აზიანებს კედლებს), ისე ადამიანისათვის შესაფერისი სამუშაო გარემოს შესაქმნელად.

შენობის საკითხებზე მიმდინარე კონსულტაციების ერთი ეტაპი გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან დადებითად დასრულდა - მაუწყებლის შენობის მესამე სართულის მოწესრიგება გათვალისწინებული იქნება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს 2018 წლის სამოქმედო გეგმაში.

**პირველადი სამედიცინო დახმარების ნივთების შეძენა**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დღის წესრიგში დადგა პირველადი სამედიცინო დახმარების ნივთების შეძენა. ამ დროისათვის მაუწყებელში უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების ნივთების ხელმისაწვდომობა.

**ტრენინგებში მონაწილეობა**

ახალი ამბების მიმართულებიდან ერთი თანამშრომელი ჩაერთო ეკონომიკის მიმართულებით დაგეგმილ ტრენინგში ყაზბეგში.

ვუმასპინძლეთ ტოლერანტობის ცენტრის და რელიგიათა საბჭოს წარმომადგენლებს.

ევროპის საბჭოსთან გაიმართა მიმოწერა ექსპერტების ნათია კუპრაშვილის, კოტე სტალინსკის და ზვიად ქორიძის ჩართვის თაობაზე. პასუხი დადებითია.

OPEN MEDIA HUB ჩაერთო გადაცემა „ჰეშთეგის“ გუნდი. ოპერატორსა და ჟურნალისტს აქვს შანსი მოუსმინონ ქართველ და უცხოელ ტრენერებს. აიმაღლონ კვალიფიკაცია.

## 10. „შემდეგი თაობა“- სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა სტაჟირების პროგრამა, რაც მოიცავს მაუწყებლის სამივე პლატფორმაზე (ტელევიზია, რადიო და ვები) შემდეგი თაობის პროფესიონალების მომზადებას და მათ ჩართვას საქმეებში.

## 11. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები

პირველი კვარტალის განმავლობაში მაუწყებელმა არაერთხელ დააფიქსირა, რომ ღიაა ერთობლივი პროექტებისა და თანამშრომლობისათვის.

ამ პერიოდის განმავლობაში თანამშრომლობისათვის შემდეგი ნაბიჯები გადაიდგა:

- ✓ გაფორმდა მემორანდუმი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან (შზუ)
- ✓ გაფორმდა მემორანდუმი და მაუწყებლის ეთერში განთავსებულია ყველაზე სანდო და კვალიფიციური ჯგუფის „ამერიკის ხმის“ მასალები
- ✓ გაფორმდა მემორანდუმი და მაუწყებლის ეთერში განთავსდება „არტარეას“ მასალები
- ✓ მაუწყებელი და გერმანულენოვანი სამაუწყებლო კომპანია „დოიჩე ველე“ Deautche Welle [8] პარტნიორები არიან. რაც ნიშნავს იმას, რომ მაუწყებელი უფასოდ გადასცემს ევროპული პროდუქციას
- ✓ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელი ღია იყო თანამშრომლობისათვის სხვა მედიაორგანიზაციებთან. ამ ფორმატში ყველაზე ხშირად ვთანამშრომლობდით სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“, ასევე ტელეკომპანიებთან “tvპირველი” და “იმედი”.

მაუწყებელი მადლობას უხდის ყველა პარტნიორს და მომდევნო პერიოდების განმავლობაში საქმიანობის კოლეგიურ ფორმატში გაგრძელების სურვილს გამოთქვამს.

## 12. #მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი

### 03 მაისი პრესის თავისუფლების მსოფლიო დღის აღნიშვნა ბათუმში

''მედიის როლი და საჭიროებები'' - ამ საკითხზე ბათუმში, კონფერენციაზე იმსჯელეს. ქართული საზოგადოებრივი არხები და საზოგადოებრივი საჭიროებები, მედიის ხარისხის მაჩვენებლები საქართველოში და მსოფლიოში, სწორედ ამ და სხვა თემებს განიხილავდნენ მედიისა და მესამე სექტორის წარმომადგენლები ღონისძიებაზე, რომელიც პრესის თავისუფლების დღესთან დაკავშირებით ჩატარდა. ღონისძიების ორგანიზატორი საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო იყო.

მაუწყებელში თანდათან ინერგება საზოგადოებასთან უკუკავშირის სისტემა, რაც გამოიხატება ფოკუსჯგუფების მოსაზრებების გაზიარებაში, სტუდენტებთან და სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრებში და ცხელი ხაზის გააქტიურებაში. ამ ეტაპზე შექნილია ცხელი ხაზის ნომრები და მზადდება საინფორმაციო კლიპი.

### ფოკუს ჯგუფები

პირველი კვარტლის განმავლობაში სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახური ფოკუსჯგუფების ჩატარების ინიციატორი იყო. ამ გზით მაუწყებელს ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა მაყურებლების პოზიციებს:

- ✓ 30.05.17 ფოკუს ჯგუფი (ახალი იდეები)
- ✓ 08.05.17 ფოკუს ჯგუფი („იმპულსი“)

---

[8] დოიჩე ველეს ოფიციალური ვებ გვერდი http://www.dw.com/en/top-stories/s-9097

## სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელმა აჭარის „მომავლის თაობის“ მოსწავლეებს და მკითხველთა კლუბის წევრებს უმასპინძლა.

ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდათ ენახათ სტუდიები და მუშაობის პროცესი, ასევე მიეღოთ პასუხები საზოგადოებრივი არხის საქმიანობასთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით.

## ცხელი ხაზი

ამ დროისათვის შექმნილია ცხელი ხაზის სპეციალური ნომრები და მზადდება საინფორმაციო რგოლი მოსახლეობასთან უკუკავშირისა და წყაროების ხელმისაწვდომობის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოქალაქეები უმეტესად მოგვმართავდნენ შემდეგი პრობლემებით/საკითხებით:

- ✓ საკუთრების უფლების ხელყოფა
- ✓ პოლიციის მხრიდან შესაძლო ძალის გადამეტება
- ✓ იპოთეკით დაზარალებულები, ასევე ოჯახები,რომლებსაც ემუქრებათ გამოსახლება
- ✓ ეკომიგრაცია
- ✓ სოციალურად დაუცველი ადამიანები და სიღარიბის ზღვარსმიღმამყოფი ოჯახების მდგომარეობა
- ✓ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება
- ✓ შრომითი ხელშეკრულებების დარღვევა
- ✓ რამდენჯერმე წერილი გამოგვიგზავნეს საპატიმრო დაწესებულებიდან.

ყველა ზემოჩამოთვლილი თემა გაშუქდა ჩვენი ახალი ამბების და ანალიტიკური გუნდის გამოშვებებში.

## კვარტლის პრიზები

**მადლობის სიგელი** - სტუდენტური დღეების აჭარა 2017 მხარდაჭერისთვის აჭარია ა.რ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი

**მადლობის სიგელი** - ფორმალური დებატების პოპულარიზაციის ხელშეწყობისათვის - ააიპ ახალგაზრდა ბათუმელთა კავშირი

**სერთიფიკატი** - PH International-საქართველო აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის

### ტექნიკის მართვა და მასთან დაკავშირებული საკითხები

### წერილი საქტელერადიო ცენტრს

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტექნიკური ხარვეზები ისევ მნიშვნელოვან პრობლემად დარჩა. გარდა იმისა, რომ საკითხების გამორკვევას ცდილობდა მაუწყებლის ტექნიკური ჯგუფი, ამასთანავე მივმართეთ ერთ-ერთ ძირითად გამავრცელებელს საქტელერადიო ცენტრს, რადგან დაჩქარდეს არსებული ხარვეზების გადაჭრა.

ტექნიკური პრობლემების დიაგნოსტირებისა და შესაბამისი რეაგირების გეგმის შედგენის მიზნით სამუშაოებში ჩართული იყო მოწვეული ექსპერტი.

ამ ეტაპისათვის გამოვლენილი პრობლემების უმრავლესობა გადასაჭრელია.

### ტექნიკური სამსახურის აქტივობები

1. დასრულდა ტენდერი და შეძენილი იქნა პირდაპირი ჩართვის აპარატურა
2. პირდაპირი ჩართვის აპარატურის შეძენასთან დაკავშირებით სტუდიაში მოხდა ტექნიკური გადაიარაღება
3. დასრულდა ტენდერი და შეძენილი იქნა რადიო FM პროცესორი რომელიც დამონტაჟდა რადიოს გამშვებ სტუდიაში
4. დასრულდა ტენდერი და შეძენილი იქნა უწყვეტი დენის წყარო UPS
5. დასრულდა ტენდერი და შეძენილი იქნა უწყვეტი დენის წყაროს UPS-ის აკუმულატორები. მოხდა ძველი აკუმულატორების ახლით ჩანაცვლება
6. დასრულდა ტენდერი და შეძენილია საკამერო განათება
7. დასრულდა ტენდერი და შეძენილია ჩამწერი ციფრული მაგნიტოფონი
8. მოკვლევა ჩატარდა და მზად არის სატენდეროდ რადიო მიკროფონები, რადიო სამკერდე მიკროფონები და წამყვანისათვის სილიკონის ყურსმენები
9. შიგა და შიგ ხდება პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება კერძოდ მიკროფონების რადიო მიკროფონების კამერების და სხვა რადიო ტექნიკაზე
10. დასრულდა ტენდერი და მოხდა დაზიანებული ორი ვიდეო კამერის აღდგენა
11. დაზიანებული იყო ტელევიზიიდან რადიოში მიმავალი ძაბვის კაბელი, მოხდა დაზიანებული ადგილის მოძებნა ლაბორატორიის მიერ და აღდგენა.

### IT განყოფილების აქტივობები

1. დეტალები (დაზიანებული და ფიზიკურად მოძველებული დეტალების გამოვლენა, ფასთა მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება. )
2. ქსელური სამუშაოები: ახალი მიერთებები, დაზიანებული წერტილების გამოვლენა და აღმოფხვრა, ქსელის გამანაწილებელი (switch) მოწყობილობების გამართვა, პრიორიტეტებისა და უსაფრთხოების განსაზღვრა, მონიტორინგი
3. კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, და სხვა პროგრამების ინსტალაცია, მონიტორინგი
4. კომპიუტერული ტექნიკის აპარატურული ნაწილის შეკეთება, გამოცვლა, მონიტორინგი
5. სერვერების (როუტერი, NAT, DHCP, Firewall, FTP სერვერები, რადიო სტრიმინიგი, მონაცემთა ბაზა) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მონიტორინგი.

**გადამცემ საშუალებათა ექსპლოატაციის განყოფილების მიერ ჩატარებული სამუშაოები:**

1. ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). ინტერნეტის საშუალებით ხორციელდება გადამცემზე სარეზერვო რადიო სიგნალის მიწოდება, შეძენილი იქნა თუნუქის ფურცლები, დაზიანებული საყარაულო ჯიხურის შესაკეთებლად. ჩატარდა სარემონტო სამუშაოები ანტენა-ფიდერულ მოწყობილობაზე, პროფილაქტიკა ჩაუტარდა დენის უწყვეტ წყაროს UPS, გამოიცვალა სატელიტური რესივერი, დამონტაჟდა რადიო მიმღები, გადამცემი მუშაობს ნორმალურად
2. ქედის(ზენდიდი) აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტი-კური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). რემონტი ჩაუტარდა სერვო-რეგულატორს, გამოიცვალა სატელიტური რესივერი, დამონტაჟდა რადიო მიმღები გადამცემი მუშაობს ნორმალურად
3. შუახევის (ოროქეთის) აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. ( თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გარემონტდა გადამცემი ანტენები. გამოიცვალა სატელიტური რესივერი, დამონტაჟდა რადიო მიმღები, გადამცემი მუშაობს ნორმალურად.
4. შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროპილაურას აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გამოიცვალა სატელიტური რესივერი, დამონტაჟდა რადიო მიმღები გადამცემი მუშაობს ნორმალურად.
5. ხულოს მუნიციპალიტეტის არგინეთის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გამოიცვალა სატელიტური რესივერი, დამონტაჟდა რადიო მიმღები გადამცემი მუშაობს ნორმალურად
6. ომბალაურის გადამცემი სადგურის დიზელ-გენერატორს და ტელევიზიის ადმინისტრაციული შენობის დიზელ-გენერატორს ჩაუტარდა პროფილაქტი-კური სამუშაოები, გაიწმინდა საწვავისა და ჰაერის ფილტრები
7. დამონტაჟდა ახალი დენის უწყვეტი წყაროს აკუმულატორები, დენის უწყვეტი წყაროს უტარდება მოსამზადებელი სამუშაოები ქსელში ჩასართველად
8. მომზადდა აჭარის რადიოსთვის გადამცემების (თბილისი, ლაგოდეხი, შუახევი, ქედა და თხილნარი) სატენდერო ტექნიკური პირობები

**მაუწყებლის სატრანსპორტო სამსახურში მყოფი ავტომანქანები:**

| | ა/მ ნომერი | ა/მ მარკა/მოდელი/წელი | გაწეული მომსახურება | ა/მ მდგომარეობა | GPS |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | XYX 418 | Toyota rav4 2002 წ. | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 2 | CBC 513 | Ford tranzit 2004 წ. | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 3 | TUT 238 | Opel astra 1995 წ. | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 4 | CHC 436 | Micubishi pajero io 2002 წ. | გამოსულია მწყობრიდან. დგას ორბელიანის 17 (ჩამოსაწერი) | გაფუჭებულია | არა |
| 5 | CHC 364 | Micubishi pajero io 2002 წ. | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 6 | BBC 937 | Mercedes sprinteri 2003 წ. | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 7 | BBC 938 | Mercedes sprinteri 2003 წ. | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 8 | TX-995-XT | Nissan pickup 2010 წ. | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 9 | SSG 554 | Ford focus 2011 წ. | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 10 | SSG 552 | Ford focus 2011 წ. | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 11 | SSG 553 | Ford focus 2011 წ. | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 12 | SSG 494 | Ford focus 2011 წ. | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 13 | BC-727-BF | Toyota rav4 2005 წ. | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 14 | TUT 298 | Opel astra 1995 წ. | გამოსულია მწყობრიდან. დგას ორბელიანის №17 (2014 წლის-17 სექტემბერს ნაავარიევი ავტომანქანა) | გაფუჭებულია | არა |
| 15 | CL-377-LC | Suzuki grand vitara 2008 წ. | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 16 | LT-774-TL | Mitsubishi outlander 2010 წ. | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 17 | TT-355-ZZ | Suzuki grand vitara 2008 წ. | შეკეთებაზე იმყოფება პროფილაქტიკაში | გაფუჭებულია | არა |
| 18 | QQ-822-BB | Ford tranzit custom 2016 წ. | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |

**მაუწყებლის განვითარებისათვის გადადგმული ნაბიჯები**

**ტიხრები და არტები:**

- ✓ 9 მაისი
- ✓ საგაზაფხულო ტიხარი
- ✓ 26 მაისის არტი
- ✓ ხუთი ტურისტული რგოლის განახლება და ეთერში განთავსება
- ✓ 01 ივნისის არტი
- ✓ საზაფხულო ტიხარი

**შიდა სამუშაოები, რომელიც გავლენას მოახდენს მაუწყებლის განვითარებაზე:**

- ✓ რეიტინგების ანალიზი
- ✓ სატელევიზიო ტანსაცმლის შეძენა
- ✓ ვებ საიტზე განახლებული ფოტოს და გადაცემების ანოტაციის ორგანიზება
- ✓ სპორტული ღონისძიებების პირდაპირი ტრანსლირება - საქართველოს ეროვნული ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის 7 ადგილობრივი თამაში, უეფას ევროპის ლიგის მატჩი პოლონეთი-ბათუმი

საგულისხმოა, რომ ბადის დაგეგმარებისა და სატელევიზიო ბაზრის უკეთესად შესწავლის მიზნით, ორივე მთვლელი კომპანია აკეთებს აჭარის მაუწყებლის პროფილურ ანალიზს. შედეგები ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული საზოგადოებისათვის, ასევე საფუძვლად დაედება მაუწყებლის შემდეგ დაგეგმარებას.

## 14. სამომავლო რისკები და გამოწვევები

ორგანიზაციის 30 წლიანი ისტორიის ანალიზი საკმარისია დავრწმუნდეთ, რომ მაუწყებლის მომავალი დამოკიდებულია ერთის მხრივ, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენისაგან თავისუფალ მუშაობაზე, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებზე იქნება ორიენტირებული. მეორეს მხრივ კი, ამგვარი მდგომარეობის მიღწევა არსებული რესურსების სწორი მართვით, სამუშაო გარემოს შექმნით და სამართლიანი შრომის გადანაწილებით შეიძლება მოხდეს.

ამღენად, სამომავლო რისკები და გამოწვევებია:

1. პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენისაგან თავისუფალი მუშაობა
2. საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირებულობა
3. სამუშაო პირობების შექმნა
4. სამუშაო გრაფიკების სწორად გაწერა
5. პრიორიტეტული საკითხების დაფარვა

საგულისხმოა, რომ ყველა ეს საკითხი სასიცოცხლოდაა მიბმული მაუწყებლის შენობა-ნაგებობების გამართვასთან.

დღეისათვის არ არსებობს მედია საქმიანობისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა. ამ საკითხის გადაწყვეტამდე კი მაუწყებელი ვერ უპასუხებს საზოგადოების მთავარ მოლოდინს - წარმოადგენდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათს.

## 15. გეგმები შემდეგი ანგარიშისათვის

მესამე კვარტალის (ივლისი, აგვისტი, სექტემბერი) მთავარი გამოწვევა მაუწყებლის საეთერო ბადის სწორი მართვა და განახლებისათვის მზადებაა.

1. **კვარტლის მთავარი ამოცანები:**
   - ✓ რადიოს ახალი სეზონის დაწყება
   - ✓ მაუწყებლის შენობის საკითხებზე კონსულტაციების გაგრძელება
   - ✓ ახალი შენობის კონსტრუქციის მოდელზე იდეების კონკურსის გამოცხადება
   - ✓ სტრუქტურის და სტრატეგიის დოკუმენტების საჯარო განხილვები
   - ✓ ევროპის საბჭოს მხარდაჭერის ფარგლებში მოწვეული სპეციალისტების ჩართვა და თანამშრომლებთა კვალიფიკაციის ამაღლება
   - ✓ შიდა და გარე მონიტორინგის ანგარიშებზე დაყრდნობით სამუშაო ფორმატების დახვეწა
   - ✓ მაუწყებლის 30 წლის იუბილესათვის მზადება
   - ✓ 2-3 წარმატებული საგრანტო პროექტი
   - ✓ შიდა და გარე აუდიტის რეკომენდაციების შესრულება

2. **სამუშაო პირობების შეცვლა:**
   - ✓ რადიოს ადაპტირების დასრულება
   - ✓ საოფისე ავეჯის განახლება

3. **თანამშრომელთა ჩართულობის და უნარ-ჩვევების გაძლიერების გეგმა:**
   - ✓ თანამშრომელთა შიდა და საზღვარგარეთ სასწავლო პროექტებში ჩართვა
   - ✓ გასვლითი შეხვედრების - ბრეინშტორმინგის მოწყობა

4. **სამაუწყებლო საქმიანობის დაგეგმარების შეცვლა**
   - ✓ საგამოძიებო ჟურნალისტიკის პროექტის ეთერში ჩაშვება
   - ✓ თოქ-შოუ „მთავარი კითხვა"
   - ✓ თოქ შოუ „სპორტი"
   - ✓ ყოველდღიური დილის გადაცემა

5. **შეთავაზება მესამე პირებისათვის**
   - ✓ წამყვანების/გადაცემების გასვლითი შეხვედრები აჭარის მუნიციპალიტეტებში
   - ✓ საინფორმაციო ლაითბოქსების განთავსება ტელევიზიის და რადიოს შენობებზე
   - ✓ რადიოს კედლების მოხატვა

6. **ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა**
   - ✓ რადიოს ვიზუალიზაცია
   - ✓ ტექნიკური გადაიარაღების გეგმის დამტკიცება

7. **ფინანსური საკითხები**
   - ✓ 2018 წლის ბიუჯეტირების პროცესის დასრულება